ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორების თავმჯდომარის,

საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის,

დავით უთმელიძის

2019 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის”

88-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ

ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიისა და ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის წევრი.

➢ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა**

მოგახსენებთ, რომ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ბიუროს 18 და საკრებულოს 17 სხდომა, აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 112 დადგენილება და 371 განკარგულება. ჩატარებული სხდომებიდან დავესწარი 15 სხდომას.

მივიღე აქტიური მონაწილეობა ბიუროსა და საკრებულოს სხდომების ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში.

➢ **ფრაქციული მუშაობა**

ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები და ჯერდება პოზიციები. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორებმა“ ჩაატარა 12 სხდომა, საკითხთა რაოდენობამ შეადგინა 19.

უმრავლესობის ფორმატში ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”-სთან ერთად 2018 წლის ნოემბრიდან - 2019 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 20 სხდომა, რომლიდანაც დავესწარი 18 სხდომას, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობამ კი შეადგინა 21.

<u>ფრაქციის სხდომებზე განვიხილეთ დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი საკითხები</u> : ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო პროექტი;

სამშენებლო რეგულაციები;

მუნიციპალური ტრანსპორტის შემოყვანა;

კოეფიციენტების მატების და k2 კოეფიციენტის გადაჭარბების აღკვეთა;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მეტროში შექმნილი პრობლემები;

სოციალური პროექტები;

მაჟორიტარული რაიონების მუშაობა;

ტაქსების რეგულირება და სხვა მრავალი აქტუალური საკითხი.

➢ **კომისიური მუშაობა**

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 20 კომისიის სხდომა, რომელშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, აქედან დავესწარი 18 კომისიის სხდომას. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 206 საკითხი, აქედან შევისწავლე და განვიხილვაში მივიღე მონაწილეობა 198 საკითხზე.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 15 ცვლილება და ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარების თვალსაზრისით 1(ერთი) ზონალურ ცვლილებას მიეცა უარყოფითი შეფასება. ასევე, საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ახალი გენერალური გეგმა, სადაც განხორციელდა 101 ზონალური ცვლილება და დამატებით შესწავლის მიზნით გადაიდო 8 ზონალური ცვლილება.

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომებზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებული იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 43 პროექტი, აქედან დამატებით შესწავლის მიზნით გადაიდო 1 პროექტი.

ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისია

ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 26 სხდომა, დავესწარი 24 სხდომას. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 219 საკითხი, აქედან შევისწავლე და განხილვაში მივიღე მონაწილეობა 172 საკითხზე.

საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე მომიწია ქონების მართვისა და საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

დაახლოებით 250 ადამიანს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

2017 წლიდან გახლავართ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი საბურთალოს მე-5 ოლქში.

მოგახსენებთ, რომ საბურთალოს რაიონის მე-5 ოლქში 43,412 ამომრჩეველია.

ოლქში ყველა სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური, სატრანსპორტო და დასაქმების საკითხები.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობის მისამართია: **ალ. ყაზბეგის გამზირი N14ა**, წარმომადგენლობა მუშაობს ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) **09:00-დან - 18:00-მდე**, ბიუროს თანამშრომლები ყოველდღიურად ხვდებიან მოქალაქეებს, იღებენ განცხადებებს და საჭიროების შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებს.

ბიუროში მოქალაქეებთან შეხვედრის დღეა ყოველი კვირის **ოთხშაბათი**. თუმცა მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე შეხვედრები ხორციელდება კვირის სხვა დღეებშიც. გარდა ბიუროში შეხვედრებისა აქტიურად გავდივარ უბნებზე, ვხვდები მაცხოვრებლებს და პირადად, ადგილზე ვეცნობი იქ არსებულ მდგომარეობას. გარდა ამისა, სოციალური ქსელითა და სატელეფონო საუბრებით ვახდენ ყოველდღიურ კომუნიკაციას ამომრჩევლებთან.

სისტემატიურად ვხვდებოდი საბურთალოზე მცხოვრებ ახალგაზრდებს, ვსაუბრობდით და განვიხილავდით, ზოგადად ქვეყანაში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს და საბურთალოსთვის სასიკეთოდ განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებზე.

ამ დრომდე, ჩემს წარმომადგენლობაში შევხვდი 1700-მდე მოქალაქეს, ხოლო საბურთალოს უბნებზე გასვლის დროს შევხვდი დაახლოებით 2500-მდე მოქალაქეს. დაახლოებით 300-მდე მოქალაქეს გავუწიე სატელეფონო კონსულტაცია, მრავალ მოქალაქეს გავუწიე სიტყვიერი შუამდგომლობა.

ჩემს სახელზე ოფიციალურად შემოსული მოქალაქის ყველა განცხადებაზე მოვახდინე შესაბამისი რეაგირება და გავაკეთე შუამდგომლობა სხვადასხვა საქალაქო სამსახურში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში და სხვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობაში ოთხშაბათ დღეს ოფიციალურად გავმართე **25** შეხვედრა, ხოლო კვირის სხვა დღეებში, მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე **50-მდე** შეხვედრა.

მოქალაქეთა მომართვიანობა ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

✓ კეთილმოწყობა/ინფრასტრუქტურა;

✓ დასაქმება;

✓ უკანონო მშენებლობა;

✓ ავარიული კორპუსებისა და საცხოვრებელი სახლის გამაგრება;

✓ მედიკამენტების დაფინანსება;

✓ კომუნალურების გადანაწილება;

✓ სამართალწარმოება;

✓ ტერიტორიების გამწვანება და რეკრეაცია და სხვა...

➢ **ინფრასტრუქტურული პროექტები**

საბურთალოს მე-5 ოლქში უშუალოდ ჩემი თანამონაწილეობითა და შუამდგომლობის საფუძველზე, საბურთალოს რაიონის გამგეობამ განახორციელა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები.

✓ **ტაშკენტის ქ. 25-27** დაიგო ასფალტის ახალი საფარი, მოეწყო გამწვანების ზოლი, სადაც დაირგო 14 (თოთხმეტი) კიპაროსის ხე. ასევე, **ბუდაპეშტის ქ. N48, მიცკევიჩის ქ. N29, ონიაშვილის ქუჩა, საირმის ქ. N11** და ვეძისში, **აფხაიძის ქუჩაზე** - შიდა ეზოში დაიგო ასფალტის ახალი საფარი. კარტოზიას ქუჩაზე მოწესრიგდა ფეხით სავალი ბილიკი. **მიცკევიჩის ქუჩა N20** კაპიტალურად მოწესრიგდა ეზოსა და კორპუსის წინა მხარეს არსებული სავალი ნაწილი;

✓ სრულად განახლდა 7 (შვიდი) სპორტული მოედანი **ვაჟა-ფშაველას გამზირი N42-44, გოთუას ქ. N18, კანდელაკის ქ. N8ა, ტაშკენტის ქ. N18, ნუცუბიძის ქ. N26, ცინცაძის ქ. N5, ბერიტაშვილის პირველი ჩიხი**), აღნიშნულ სპორტულ მოედნებზე მთლიანად

გამოიცვალა ხელოვნური საფარი, (მათ შორის 3 მისამართზე პოლიპროფილენით) დამცავი ღობეები, კალათბურთის ფარები და ფეხბურთის ბადეები;

✓ უკვე რეაბილიტირდა და მოეწყო 8 (რვა) სკვერი **(ვაჟა-ფშაველას გამზირი N42, ასათიანის ქ. N12, ანტონოვსკაიას ქ. N9, ზაქარიაძის ქ. N10, ცაგარელის ქ. N 34-36, თავაძის ქ. N3, ცინცაძის ქ. N79-83-85, ჭილაძის ქ. N166**). პროექტის ფარგლებში, აღნიშნულ სკვერებში დამონტაჟდა სრულიად ახალი საბავშვო სასრიალოები, დაიდგა ახალი სკამები და სანაგვე ურნები, მოეწყო განათების სისტემა, მოწესრიგდა საფეხმავლო ბილიკები, დაირგო ხეები და დეკორატიული ბუჩქები, ასევე სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია მიმდინარეობს კიდევ სამ მისამართზე **(პეკინის ქ. N45, ალასანიას ქ. N36, საირმის ქ. N12**)

✓ აღსანიშნავია **საირმის ქუჩა N11** კორპუსის მიმდებარედ მიმდინარე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც მოსახლეობის ინიციატივით, საბურთალოს გამგეობამ ავტოფარეხების დემონტაჟი განახორციელა. პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე კაუჩუკისსაფარიანი საბავშვო მოედანი განთავსდება და სხვადასხვა სახის გასართობი ატრაქციონი დამონტაჟდება. ასევე, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, საჩრდილობელი, ლამპიონები და სკვერისთვის საჭირო ყველა შესაბამისი ინვენტარის განთავსება.

✓ ლისის ტბის დასახლებაში, **დგებუაძის ქუჩაზე** მოწესრიგდა წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემა. ასევე, 9 (ცხრა) მისამართზე მოწესრიგდა წყალარინების ქსელი: **ზაქარიაძის ქ N9, საირმის N11, მიცკევიჩის ქ. N14, ნუცუბიძის ქ. N48 კორპუსი N3, ნუცუბიძის ქ. N19, ყაზბეგის გამზირი N3 და N3ა, შევარდენიძის ქ. N3, ვაჟა ფშაველას გამზირი N4;**

✓ **გოთუას ქ. N20-22** ავტოფარეხებთან შეიცვალა მილი, რომელიც წყლის დაგროვებისგან იცავს ავტოფარეხებს;

✓ **მე-60 სკოლას** გაუკეთდა საკანალიზაციო სისტემა;

✓ საბურთალოს მე-5 ოლქში, 7 (შვიდ) მისამართზე მოეწყო კიბის უჯრედი, ხოლო სამ მისამართზე საყრდენი კედელი, კერძოდ **(ზაქარიაძის ქ. N3, გოთუას ქ. N20, ცინცაძის**

ქ. N85, ნუცუბიძის ქ. N9, N11-13 და N40, საირმის ქ. N3), ხოლო **ნუცუბიძის ქ. N40**, **ანდრონიკაშვილის ქ. N5** და **ვაჟა-ფშაველას გამზირი N18** მოეწყო საყრდენი კედლები. ასევე აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ჩემი შუამდგომლობით **გოთუას 20-ისა და შარტავას 45-ის დამაკავშირებელი** კიბის რეაბილიტაცია დასრულდა. გარდა ამისა, **მეგრელიძის ქ. N2** მიმდინარეობს საყრდენი კედლის მოწყობა;

✓ საბურთალოს მე-5 ოლქის რამდენიმე ლოკაციაზე დამონტაჟდა და შეიცვალა საფეხმავლო გზის გამომყოფი ე.წ "ბოწკიტები". **ტაშკენტის N25** დამონტაჟდა 4 ბოწკიტი, **ტაშკენტის N10** (44 ცალი), **ვაჟა-ფშაველას N18** დამონტაჟდა „ბოწკიტები" (5 ცალი), **ყაზბეგის გამზირი N14ა** (6 ცალი), **საირმის ქ. N15** (29 ცალი), **მიცკევიჩის ქ. N72** (6 ცალი), **ბურძგლას ქ. N36** (11 ცალი), **ბურძგლას ქ. N74** (32 ცალი), **ბურძგლას ქ. N48-დან N-72-ის ჩათვლით** (66 ცალი), **ცაგარელის ქ. N82** (36 ცალი), **მგალობლიშვილის ქ. N1** (20 ცალი), **ნუცუბიძის ქ. N14** (25 ცალი), **ნუცუბიძის ქ. N3 და N5** (104 ცალი), **თამარაშვილის ქ. N15** (23 ცალი), **ვაჟა-ფშაველას გამზირი N10-12** (27 ცალი), **ყაზბეგის გამზ №27 ალდაგთან,** დამონტაჟდა 2 ცალი ახალი ბოწკიტი, ასევე **ყაზბეგის №9ა-5-3** და **ბექას ქუჩაზე** დასრულდა ახალი ბოწკიტების დამონტაჟება. ხოლო, 4 ცალი გატეხილი ბოწკიტი შეიცვალა **ვაჟა-ფშაველას გამზ №38** და **ყაზბეგის გამზ № 35;**

✓ რვა მისამართზე დასრულდა ქანობიანი სახურავის შეკეთება: **გამრეკელის ქ. N6, ვაჟა ფშაველას გამზირი N28 და N36, ყაზბეგის გამზირი N3, N7 და N41, მიცკევიჩის ქ. N29, გაზაფხულის ქ. N13. ასევე, საირმის ქ. N11**-ში დასრულდა ბრტყელი სახურავის რეაბილიტაცია;

✓ ჩემი შუამდგომლობითა და მოსახლეობის სიტყვიერი თხოვნის საფუძველზე, გამწვანების მიზნით, საბურთალოს სხვადასხვა მისამართზე დავრგეთ ასეულობით ხე-მცენარე, რამდენიმე ქუჩაზე გადაიბელა ხეები და მოწესრიგდა მწვანე ზოლი. აქვე აღსანიშნავია, რომ მთელ საბურთალოზე გამწვანების საქალაქო სამსახური მასიურად ჭრის ძველ, გამხმარ ხეებს, სანაცვლოდ კი ირგვება ბევრად მეტი რაოდენობის ხე-მცენარე. **პეკინის გამზირიდან ჟვანიას მოედნამდე** (ყოფილი გაგარინის) არსებულ გზაგამყოფ

კუნძულზე 1690 კვადრატულ მეტრ ფართობზე **მულჩირების** სამუშაოები განხორციელდა.

✓ **ნუცუბიძის ქ. N30-32-34-36-38-40** დასრულდა დამცავი მოაჯირებისა და დეკორატიული ღობეების მოწყობის სამუშოები, ჯამში 221 გრძ./მეტრი. ასევე, **ვაჟა ფშაველას გამზირი N18 და N39** (97 გრძ/მეტრი), **ბერიტაშვილისა და მაჭავარიანის ქუჩის კვეთები** (15 გრძ/მეტრი), **საირმის ქუჩა N3 და N7** (68 გრძ/მეტრი), **ალ. ყაზბეგის გამზირი N19** (40 გრძ/მეტრი), **ასათიანის ქუჩა N14** (11 გრძ/მეტრი). ჯამში, ზემოთ აღნიშნულ მისამართებზე მოეწყო 452 გრძ/მეტრი დამცავი ღობე;

✓ **ალ. ყაზბეგის გამზირი N17-19** დამონტაჟდა გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორი;

✓ დასრულდა **ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკის** რეაბილიტაცია. პარკის ტერიტორიაზე მოეწყო 2 საბავშვო მოედანი, საპიკნიკე სივრცეები, სავარჯიშო ზონა, საგამოფენო ღია სივრცე, დახურული სივრცე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოსაწყობად. სრულად შეიცვალა საპარკე ავეჯი და დამატებით განთავსდა სეპარირების ურნები, ასევე, მოეწყო ცხოველების სასეირნო სპეციალური სივრცე, სარწყავი სისტემა და განათება. დაითესა ბალახის საფარი და დაირგო სხვადასხვა სახეობის ბუჩქები და ხეები, მათ შორის: ფოტინია, სურნელოვანი ოსმანთუსი, მარადმწვანე ძახველი, ლელანდიის კვიპაროსი, არღავანი, იაპონური სოფორა, ნეკერჩხალი. პარკის გარშემო კი მოეწყო დაახლოებით 700-მეტრიანი საველოსიპედე ბილიკი.

✓ ჩემი შუამდგომლობითა და მოსახლეობის სიტყვიერი თხოვნის საფუძველზე, **გოთუას, ბერიტაშვილის და ლისის ტბის ასახვევში** დაიდგა ავტობუსების თანამედროვე გაჩერებები;

✓ ექვს მისამართზე რეაბილიტირდა ლიფტი: **მიცკევიჩის ქ. N18, ბურძგლას ქ. N 76-78-80, ანტონოვსკაიას ქ. N9ბ, ყაზბეგის გამზირი N10ა, ნუცუბიძის ქ. N19, ასათიანის ქ. N14**;

✓ საბურთალოს მე-5 ოლქში 13 მისამართზე დასრულდა სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: **ანტონოვსკაიას ქ. N9ბ, ყაზბეგის გამზ. N29/22, ფ. თავაძის ქ. N7, პეკინის გამზ. N36** და **N42**, **ისაკაძის ქ. N14, ნუცუბიძის ქ. N46**, **საირმის ქუჩაზე N3 საცხოვრებელ კორპუსში**, **ჭილაძის ქ. N166-ში მდებარე N7 კორპუსში**, **ვაჟა-ფშაველას გამზ. N14 და N26, მიცკევიჩის ქუჩა N10-სა და N15-ში**.

✓ **ცინცაძე-კარტოზიას** დამაკავშირებელ სატრანსპორტო კვანძთან ევროპული წარმოების, თანამედროვე, მულტიფუნქციური სპორტული სივრცე მოეწყო. აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურა არის მაღალი ხარისხის, მულტიფუნქციურ სივრცეში განთავსებული თანამედროვე სპორტული ინვენტარი იძლევა საშუალებას, რომ მოქალაქე ვარჯიშის ინსტრუქციას წერილობით ან QR კოდის მეშვეობით, ვიდეოს სახით გაეცნოს. გარდა ამისა, ინვენტარს აქვს აპლიკაცია სმარტფონებისთვის, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ვარჯიშების ვიდეოს სახით მომზადება;

✓ დაიწყო **მარშალ გელოვანის გამზირისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი** ახალი გზის მშენებლობა. პროექტი ოთხზოლიანი ბეტონის გზის, ამსვლელ-ჩამომსვლელი ორ-ორი ზოლით მოწყობას ითვალისწინებს. გზის მშენებლობის ფარგლებში, ასევე მოეწყობა საყრდენი კედლები, წყალამრიდები და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარეგანათების ქსელი;

✓ მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, **№52 საჯარო სკოლასა და გოძიაშვილის ბაღს შორის**, ასევე **სამედიცინო უნივერსიტეტის წინ** დაიხაზა ზებრა გადასასვლელი და დამონტაჟდა შუქნიშანი;

✓ **პეკინის გამზ. N45** დასრულდა შიდა ეზოს მოასფალტება. დაიგო 1100 კვ.მ ასფალტის საფარი. ამჟამად, მიმდინარეობს სკვერის მოწყობის სამუშაოები;

✓ დასრულდა **ბუდაპეშტი-კანდელაკის** ქუჩების რეაბილიტაცია. სამუშაოების ფარგლებში კომპანია „GWP“-მა მთლიანად შეცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები. დაიგო ასფალტის ახალი საფარი, მოეწყო გამწვანების ზოლები, ტროტუარები და ბორდიულები, დაიხაზა ავტობუსის ხაზი;

✓ ჩემი უშუალო ინიციატივით, საბურთალოზე, ვეძისის გზაზე, “რომპეტროლთან” - **ფანჯიკიძის ქუჩიდან ნუცუბიძის ქუჩაზე ჩასასვლელი ახალი გზა** გაკეთდა, რის შედეგადაც ვეძისიდან ნუცუბიძის ქუჩისკენ მიმავალი ავტომობილები მარტივად და მოკლე გზით შეძლებენ გადაადგილებას, აგრეთვე აღნიშნული გზა განტვირთავს კანდელაკი-ნუცუბიძე-ფანჯიკიძე-ბუდაპეშტი-იონა ვაკელის კვეთას;

✓ ჩემი უშუალო შუამდგომლობით, **გოთუას ქუჩაზე** სანაპიროზე ჩასასვლელი გზის გაფართოება იგეგმება, რისი დახმარებითაც ზემოთხსენებულ ქუჩაზე მოძრავი ავტომობილები ცენტრალურ მაგისტრალს დაუკავშირდებიან მარტივად და რაც მთავარია საავარიო სიტუაციები თავიდან იქნება აცილებული;

✓ ქ. თბილისის მერის, კახი კალაძის მონდომებითა და შუამდგომლობით, ასევე ჩემი უშუალო ჩართულობით, **ტაშკენტის ქუჩაზე** მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების გრუნტში ჩატანის სამუშაოები განხორციელდა, რომელსაც ახორციელებს სს „თელასი“. უახლოეს მომავალში იგეგმება ბოძების დემონტაჟი, რის შედეგადაც გაფართოვდება სავალი გზა და გამარტივდება კონკრეტულ მონაკვეთზე სატრანსპორტო მოძრაობა;

✓ საბურთალოს მე-5 ოლქში, ამჟამად, მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები: კერძოდ - სადარბაზოებს რეაბილიტაცია უტარდება **ვაჟა ფშაველას გამზ. N17, ცინცაძის ქ. N3 და N43-ში**, 2 მისამართზე რეაბილიტაცია უტარდება ლიფტებს (**ცინცაძის ქ. N9 და N79**), შეიცვლება წყალსაწრეტი სისტემა 5 მისამართზე - **მიცკევიჩის ქ. N8**, **ნუცუბიძის ქ. N42-ის მე-2 კორპუსი**, **ყაზბეგის გამზ. N7 და N41**, **ვაჟა-ფშაველას გამზ. N36**.

➢ **ღონისძიებები და აქტივობები**

საანგარიშო პერიოდში, ჩემი მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე აქტივობა:

✓ **2018 წლის 3 ნოემბერს**, ვიმყოფებოდი საბურთალოზე, ზაქარიაძის ქუჩაზე, სადაც მონაწილეობა მივიღე გამწვანების აქციაში, სახელწოდებით “სიცოცხლე

სიცოცხლისთვის“. ზაქარიაძის ქუჩის №3-5-7-9 და ასათიანის ქუჩის №10-ის მაცხოვრებლებმა საკუთარი ეზოები თავად დაასუფთავეს, გაანათეს, გაამწვანეს და გაალამაზეს;

✓ **2018 წლის 1 დეკემბერს**, მონაწილეობა მივიღე საბურთალოზე, №60 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე გამწვანების აქციაში, სახელწოდებით “სიცოცხლე სიცოცხლისთვის“. გამწვანების აქციაში მონაწილეობა მიიღეს №60 საჯარო სკოლის დირექტორმა, დირექციამ, მოსწავლეებმა და მიმდებარე ქუჩის მაცხოვრებლებმა, რომლებმაც საკუთარი სკოლის ეზო თავად დაასუფთავეს, გაანათეს, გაამწვანეს და გაალამაზეს;

✓ **2018 წლის 24 დეკემბერს**, საბურთალოს გამგებელ, გაიოზ ვასაძესთან და გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, ვესტუმრე 203-ე საჯარო სკოლას და მოსწავლეების მიერ გამართულ ღონისძიებას დავესწარი. „სმენის არმქონე და სმენადაქვეითებულ ბავშვთა 203-ე“ საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სტუმრებს სპექტაკლი „ქრისტეს შობა“ წარუდგინეს;

✓ **5 იანვარს**, 1-ლი ექსპერიმენტალური სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ვიმყოფებოდი რობერტ სტურუას სპექტაკლზე “შობა ტიფლისში” ;

✓ **24 იანვარს**, ვიმყოფებოდი ჭილაძის 166 ნომერში არსებული განახლებული სკვერის გახსნაზე;

✓ **მიმდინარე წლის 10 აპრილს**, მონაწილეობა მივიღე ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დაწყებულ კამპანიაში - ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს“, რომლისს ფარგლებშიც შევხვდი თბილისის 60-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს.

✓ **ა/წ 3 მაისს**, მონაწილოება მივიღე მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული ,,სასახლის სარკეებიან" დარბაზში გამართულ საჭადრაკო ბლიც-ტურნირში - ,,პირველი რესპუბლიკის თასი". საჭადრაკო ტურნირში, აგრეთვე მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, მწერლები, ჟურნალისტები, მეცნიერები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები;

✓ **15 მაისს**, ვესწრებოდი ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკის საზეიმოდ გახსნას, რომელიც ქალაქ თბილისის მერმა, კახი კალაძემ გახსნა;

✓ **1 ივნისს**, განახლებულ გოძიაშვილის სახელობის ბაღში დავესწარი საბურთალოს რაიონის გამგეობის ორგანიზებით გამართულ ღონისძიებას, რომელიც ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა;

✓ **3 ივნისს**, დავესწარი განახლებული ორბელიანის მოედნის საზეიმო გახსნას;

✓ **8 ივნისს**, მოვინახულე და წარმატებები ვუსურვე 1-ლი ექსპერიმენტული სკოლის ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც მონაწილეობას იღებდა მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგაში. აქტიურად ვესწრებოდი მათ შეხვედრებს;

✓ **13 ივნისს**, თბილისის მერ კახა კალაძესთან ერთად ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე, 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაღუპულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დავესწარი;

✓ **20 ივნისს**, ვიმყოფებოდი ცინცაძის ქუჩაზე (N79-83-85), სადაც დასრულდა სამი სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

✓ **11 ივლისს**, ვესწრებოდი თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის ინიციატივით გამართულ 150-ე და 207-ე საჯარო სკოლებს შორის მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგას;

✓ **18 ივლისს**, ზაქარიაძის ქ. N10-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულდა დასასვენებელი სივრცის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც საბურთალოს გამგებელ, გაიოზ ვასაძესთან ერთად დავათვალიერე;

✓ **20 ივლისს**, დავესწარი განახლებული „მრგვალი ბაღის“ საზეიმო გახსნას;

✓ **31 ივლისს**, ვიმყოფებოდი და გავეცანი ლისის ტბისა და გელოვნის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობის პროექტს;

✓ **5 სექტემბერს**, ვესწრებოდი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის, მაია ჩიბურდანიძის საჭადრაკო აკადემიის „ჭადრაკის დედოფალი“ საზეიმო გახსნას;

✓ **25 სექტემბერს**, დასრულდა ბუდაპეშტი-კანდელაკის ქუჩების რეაბილიტაცია, დასრულებულ სამუშაოებს ადგილზე გავეცანი ქ. თბილისის მერ კახი კალაძესთან და საბურთალოს რაიონის გამგებელ, გაიოზ ვასაძესთან ერთად;

✓ **1 ოქტომბერს**, საბურთალოს გამგებელთან და მერიის სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დავათვალიერეთ ლისის ტბის მიმდებარედ არსებული ახალი დამონტაჟებული ავტობუსის გაჩერებები, ასევე დავგეგმეთ ახალი გაჩერების ადგილები და მასთან საფეხმავლო მისასვლელი ბილიკების გაკეთების სქემები;

✓ **5 ოქტომბერს**, მონაწილეობა მივიღე „თბილისობა 2019“-ის ფარგლებში ორბელიანის მოედანზე გამართულ ღონისძიებებში;

✓ **10 ოქტომბერს**, საბურთალოს გამგებელ გაიოზ ვასაძესთან ერთად ვიმყოფებოდი საირმის ქ №11-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობის სამუშაოების მოსანახულებლად. აღნიშნულ მისამართზე მოსახლეობის ინიციატივით მოხდა ავტოფარეხების დემონტაჟი და სწორედ მის ადგილზე ეწყობა გასართობი, მწვანე სივრცე.

➢ **მივლინება და ტრენინგები**

22-24 მარტს, ვიმყოფებოდი IRI-ის ორგანიზებით კაჭრეთის ამბასადორში გამართულ ტრენინგზე, რომელიც ეხებოდა კრიზისების მენეჯმენტსა და საჯარო კომუნიკაციას.

19-27 მაისს, ვიმყოფებოდი ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის თვითმმართველობის ფინანსისტთა ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა აშშ-სა და კანადის გაერთიანებულ ფინანსისტთა ასოციაციის მიერ შექმნილი და შემუშავებული პროგრამები, ტრენინგებისა და

სწავლებების მიმართულებით. საქართველოს დელეგაციას გვქონდა შესაძლებლობა გავცნობოდით მათ საუკეთესო პრაქტიკას, აგრეთვე მათ მიღწევებსა და სამომავლო გამოწვევებს. სესიები ასევე მოიცავდა შემდეგ თემებს - ბუღალტერია, აუდიტი და ფინანსური ანგარიშები, ბიუჯეტირება და ფინანსური დაგეგმარება, კაპიტალი, სესხის მართვა, ლიდერობა და მენეჯმენტი, პენსია და სარგებლის ადმინისტრირება, რისკის მენეჯმენტი და დაზღვევა, ხაზინა და ინვესტიციების მენეჯმენტი.

კონფერენცია გახსნა ლოს-ანჯელესის მერმა, ერიკ გარკეტმა. კონფერენციას ესწრებოდნენ აშშ-ის ქალაქების მერები და ადგილობრივი თვითმმართველობის მაღალი პირები. დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა მივიღეთ აშშ, გერმენიის, ისრაელის, სამხრეთ აფრიკის, შვედეთისა და კანადის საჯარო მოხელეებთან ერთად დისკუსიებში, გავცვალეთ აზრები და გავუზიარეთ ერთმანეთს პრაქტიკა. ჩვენი დელეგაციის მიერ შეთავაზებულ იქნა აშშ-ის მხარისთვის შემდგომი ვიზიტი საქართველოში.

შეხვედრები იყო ნაყოფიერი, საქმიანი და მომავალ ჩვენ პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული.

20-22 სექტემბერს, მივლინებით ვიმყოფებოდი კახეთის რეგიონში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის რიგით XII ყოველწლიურ კონფერენციაზე. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების წარმომადგენლები, ისრაელის, გერმანიისა და უკრაინის ფინანსისტთა ასოციაციის დელეგატები. აგრეთვე, ტრენინგები ჩატარდა შემდეგ საკითხებზე: პროგრამული ბიუჯეტირება, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშები (IPSAS) და ქონების მართვა.